პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 182 (5212)

14 სექტემბერი, შაბათი. 1974წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის მასწავლებლებს ყოველდღე ნახავთ [illegible] სტადიონზე. აქ ისინი ფიზიკური აღზრდის მ[illegible] მძლეოსნობის ყველა სახეობის ტექნიკას ასწავლიან.

• • •

სურათზე: ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ო. ლაკერბაია სპორტული ფაკულტეტის პირველკურსელთა ერთ ჯგუფთან ბირთვის კვრაში მეცადინეობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

[illegible]

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები ★

### ოჯახური სპორტული პროფესია

სპორტის ვეტერანის ვ. მარჩუკოვის ოჯახში კიდევ ერთი მწვრთნელი გაჩნდა: მისმა შვილმა იგორმა სმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ცურვის სპეციალისტი გახდა. იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, მაგრამ თავისი კვალიფიკაციის სრულყოფას აგრძელებს.

სპორტული ოჯახის ბურჯი ვ. მარჩუკოვი ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორია. მის მრავალრიცხოვან აღზრდილთა შორის 20-მდე სპორტის ოსტატია.

ბავშვებისა და ჭაბუკების ფიზიკურ აღზრდას ეწევა მისი ცოლი ვ. მოროზოვა — საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

სპორტით თავიანთი გატაცება მშობლებმა ბავშვებსაც ჩაუნერგეს. მათი ქალიშვილი ლიუდმილა სპორტის ოსტატი გახდა მხატვრულ ტანვარჯიშში. ისიც ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს.

ნ. ხაიკინი.

სმოლენსკი.

### შორეული აღმოსავლეთის სპორტსმენებთან

ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეების სპორტსმენები შორეული აღმოსავლეთის ზონის სპორტსმენების ტრადიციული მეტოქეები არიან ყველა შეჯიბრებაში. სპორტი აქ დიდი პატივით სარგებლობს და ჭეშმარიტად მასობრივად იქცა. საკმარისია ითქვას, რომ ხაბაროვსკის მხარეში ფიზკულტურული ორგანიზაციები აერთიანებენ 250 ათას კაცს, ხოლო ზღვისპირეთში სპორტით 350 ათასი კაცია დაკავებული. ზღვისპირეთის წარმომადგენლები ამაყობენ, იმით, რომ შორეულ აღმოსავლეთში მათ პირველებმა აღზარდეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, საჭადრაკო დიდოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ზღვისპირეთის სპორტსმენებმა დასაბამი მისცეს მეზღვაურების პირველ საერთაშორისო შეჯიბრებას — „იაპონიის ზღვის" თასს. ამ თასის პირველი მფლობელები ზღვისპირეთის გემების გუნდები გახდნენ.

ხაბაროვსკელებს თავიანთი ანგარიში აქვთ. ბოლო სამი წლის მანძილზე მათმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ორი, ევროპის ჩემპიონის ერთი ტიტული, ისინი 21-ჯერ გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები და 50-ჯერ გაიმარჯვეს რსფსრ-ს პირველობებში. ამავე ხნის მანძილზე ხაბაროვსკის მხარის სპორტსმენებმა დაამყარეს მსოფლიოს 5, სსრ კავშირის 7 და ათზე მეტი რესპუბლიკური რეკორდი.

იყო ასეთი დრო — 1922 წელი, როცა ხაბაროვსკში მუშაობდა ერთი საიალქნო კლუბი და ერთი საჩოგბურთო მოედანი. ახლა კი დღევანდელი დღის ციფრებს მოვიყვანთ: 22 სტადიონი, 360 სპორტული დარბაზი, 10 ზამთრის საცურაო აუზი, ხელოვნურყინულიანი სპორტის სასახლე, 62 ტირი.

ახლაც დიდი ყურადღება ეთმობა შორეულ აღმოსავლეთში სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. სულ ახლახან ასობით ხაბაროვსკელი დაესწრო გორკის სახელობის დაბაში ზამთრის საცურაო აუზიანი სპორტის სასახლის გახსნას. მალე შედგება ახალსახლობა კიდევ ერთ საცურაო აუზში. რეკონსტრუქციას უკეთებენ ნავსადგურ ვანინოს სტადიონს. სადგურის ხაბაროვსკ-II სპორტსმენებმა თავიანთი დღესასწაული — რკინიგზელის დღე „ლოკომოტივის" ახალ სტადიონზე აღნიშნეს. ვლადივოსტოკში მწყობრში ჩადგა ორი დიდი სპორტული კომპლექსი: ნიჩბოსნობის ბაზა ჩანის ტბაზე და მძლეოსნური მანეჟი. უსურიისკში სპორტული დარბაზი შენდება.

• • •

სურათებზე: ამურის ყურე ვლადივოსტოკში. ზღვისპირეთს სამართლიანად მიიჩნევენ საწყლოსნო სახეობების ოსტატთა სკოლად. მხოლოდ უკანასკნელ შეჯიბრებებში ზღვისპირეთის სპორტსმენებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს მთელ რიგ შეჯიბრებებში — I ადგილი ორადგილიანი ნაიდარებით საერთაშორისო რეგატაში, II ადგილი „ფინის" კლასის ნავებით საკავშირო ჩემპიონატში; ხაბაროვსკის „სპარტაკის" ველოსიპედისტთა ვარჯიში.

ი. მურავინის ფოტოები.





## მოტოციკლებზე დედამიწის გარშემო

სამმა ახალგაზრდა ფინელმა—22 წლის ჟურნალისტმა ბენგტ ჩაიკოლამ, 24 წლის ავტომექანიკოსმა ჰანუ ბერგრუტმა და 19 წლის ფოტოტექნიკოსმა ვესა ლოტანენმა ორი მოტოციკლით დედამიწას შემოუარეს. მოგზაურობამ 8 თვეს გასტანა. ზღვებსა და ოკეანეებს მოგზაურები თავიანთ მოტოციკლებთან ერთად, ცხადია, გემებით „გადიოდნენ".

ფინეთში სტარტი ა. წ. 1 იანვარს აიღეს, გადალახეს ევროპა თურქეთამდე, მერე კი ავღანეთის და ინდოეთის გავლით სინგაპურს მიადგნენ. აქედან ზღვით იაპონიას ესტუმრნენ, მერე კი ოკეანით კანადისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მათ მოტოციკლებით გადასერეს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი ჩრდილოეთიდან სამხრეთით და კალიფორნიის გავლით მექსიკაში ჩავიდნენ. მერე ისევ ჩრდილოეთისკენ იბრუნეს პირი და კურსი ნიუ იორკისკენ აიღეს.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოტოციკლისტები სამშობლოში დაბრუნდნენ, ოღონდ გემზე სპორტული ტანსაცმელი მეზღვაურის ფორმაში გაცვალეს: სატვირთო ხომალდზე მეწყვნენ მატროსებად.

ორი მოტოციკლი, გაბედული ფინელების აზრით, სავსებით საკმარისია ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობისთვის. ერთ მოტოციკლს ორი მგზავრი მიჰყავდა, მეორეს — კიდევ ერთი მონაწილე, თანაც კარვითა და ყველა საჭირო აღჭურვილობით იყო დატვირთული, მათ შორის, მანქანების სათადარიგო ნაწილებით, მედიკამენტებით და კონსერვებით.

[illegible]

## ასობით მუშა და მოსამსახურე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ჩაატარა თავის სპარტაკიადა, რომელშიც ასობით მუშა და მოსამსახურე მონაწილეობდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრებები ტყვიის სროლაში, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, მძლეოსნობასა და ჭადრაკში.

მცირეკალიბრიანი შაშხანით ასპარეზობაში 9 საამქროს გუნდები მონაწილეობდნენ. ყველას აჯობეს ქარხნის დაცვის წარმომადგენლებმა.

ჭიდაობა სამბოში ყველაზე კარგად გამოვიდნენ ქარხნის ნაკრები გუნდის წევრები თ. კაპანაძე, მ. დავლაძე, თ. აბულაძე, რ. სარალიძე, ჯ. ქაცარიძე, გ. ნიკაჭაძე, თ. შაქარიშვილი, ნ. გიორგაძე და თ. მაჩიტაძე, რომლებმაც ჩემპიონობაც დაისაკუთრეს.

ნ. გიორგაძემ, გ. ნიკაჭაძემ, ჯ. ქაცარიძემ, თ. აბულაძემ ქართულ ჭიდაობაშიც იმარჯვეს. მათს გარდა ამ სახეობაში ქარხანაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს რ. ლუტიძემ, ჰ. ბუაჩიძემ, ს. ჭუმბურიძემ და ო. მემანიშვილმა.

მძლეოსნები ქარხნის სტადიონზე ცდიდნენ ძალას. პროგრამაში იყო 100, 200, 400, 1000 და 1500 მეტრზე რბენა, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მექანიკური საამქროს ფიზკულტურელებმა იმარჯვეს.

მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში 9 კოლექტივი გამოვიდა. თითოეულ გუნდში 3 ვაჟი და 1 ქალი იყო. ყველაზე უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ ავტომატიკისა და ტექნიკური გაზომვის საამქროს სპორტსმენები პ. ვასაძე, დ. ჰინჩაძე, ვ. დალაქიშვილი და ი. მელქაძე. II ადგილი ხვდა ქარხნის სამმართველოს ნაკრებს, III — ენერგეტიკული საამქროს გუნდს.

ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურელები ასპარეზობდნენ აგრეთვე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. 1200 მონაწილედან ნორმატივები 411 კაცმა ჩააბარა.

ა. განუგრაპა.

(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

## რეკორდი

მიუნხენი, 11 სექტემბერი. 22 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ი. სპირიდონოვმა უროს ტყორცნაში ამას წინათ რომში მოპოვებულ ევროპის ჩემპიონის წოდებას აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულიც დაუმატა — 76,66 მეტრზე გაგზავნა შვიდკილოგრამიანი ურო.

უწინდელი მსოფლიო რეკორდი (76,60 მ) გდრ-ის წარმომადგენელ რ. ტაიმერს ეკუთვნოდა.

# საბჭოთა ფიზიკური კულტურის სათავეები საქართველოში

გ. მერკვილაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ამ წერილის დაწერა რომ მთხოვეს, ალბათ მომმართეს, როგორც ვეტერანს, რომლის მონაწილეობითაც ან რომლის თვალწინაც დაიბადა, გაიზარდა, დავაჟკაცდა ქართული საბჭოთა ფიზიკური კულტურა და სპორტი. უნდა გამოვტყდე, რომ საგაზეთო წერილის დაწერა ამ თემაზე მეტად მიჭირს. უშუალო მონაწილეს ყველა წვრილმანი მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან იცის, ამ წვრილმანმა რამდენად გაზარდა ან რა სიმაღლეზე აიყვანა საქმე, მკითხველს კი შედეგი აინტერესებს და არა პროცესი ან კიბის საფეხურები. უშუალო მონაწილე მასალისა და ფაქტების სიმრავლეში იბნევა, ვინაიდან გადამწყვეტი მოვლენების, მნიშვნელოვანი ამბების გამოყოფა უმნიშვნელოსგან უძნელდება ამ მოვლენათა თუ ამოცანების როლის თანდათან შეცვლისა და ერთგვარი გადაფასების გამო.

მართლაც, განა შეიძლება შეადარო დღევანდელი მწვრთნელის საქმიანობა დიდი ენთუზიასტის, ვთქვათ, ინჟინერ მიხეილ აბულაძის მუშაობას, რომელმაც პატარა დარბაზში, ჩუმად, ყოველგვარი პრეტენზიებისა და მოთხოვნების გარეშე გაზარდა მომავალი სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი გულო რცხილაძე და ჩააბარა ტანვარჯიშის პატრიარქს გიორგი ეგნატაშვილს? ასეთ ენთუზიასტებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით. ამიტომ, რასაკვირველია, დღეს უთუოდ უნდა გავიხსენოთ მათი როლი და მოღვაწეობა. მოგონების ღირსი უნდა გავხადოთ ის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც დიდად პატრონობდნენ და ეხმარებოდნენ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელი ჰქონდა კულტურისა და მეურნეობის ყველა ფრონტზე.

მოგონების ღირსია პირველი ფიზკულტურული ჟურნალის „საბჭოთა ფიზკულტურის" გამოშვების ისტორია, გიტო გიორგიძის, გიორგი ქავთარაძისა და სხვათა როლი, ვანო და გიორგი სტურუების, შალვა ელიავას, ვანო კიკნაძის, ვადა დევიძის, სოსო კოჭლამაზაშვილის სახელები.

თანამედროვეებს უნდა გავაცნოთ, გავახსენოთ საბავშვო ბაღების აღმზრდელთა აღმზრდელი თამარ ნიკოლაძე — უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის პირველი კათედრის ხელმძღვანელი, უნდა გავიხსენოთ საბჭოთა მებრძოლ კომკავშირელთა მთელი პლეადა, რომელიც გულწრფელი სურვილით აღჭურვილი თავგამოდებით იბრძოდა ახალი, საბჭოური ფიზკულტურის დამკვიდრებისთვის.

უნდა გავიხსენოთ პირველი მშენებლობა და ინიციატორები, ცალკეული უწყება-ორგანიზაციებისა და პირების ღვაწლი, პირველი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სამკურნალო ფიზკულტურის დარგში, ახალი კომკავშირული კადრების მომზადება ქალაქსა და მთელს რესპუბლიკაში, პირველი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთსა და ფეხბურთში, ბრძოლა სპორტული ტანვარჯიშის აღდგენისთვის, ტანვარჯიში პირველი რესპუბლიკური დღესასწაული, ბრძოლა სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდის სისტემისთვის. ეს ყველაფერი პირველ ათ წელს ეხება, ჩვენს თაობას კი მხოლოდ ომის შემდგომი პერიოდი ახსოვს.

მხედველობიდან სრულიად გვრჩება ის გარემოება, რომ მრავალი დღევანდელი სხვა დარგის მოღვაწე — პროფესორი, აკადემიკოსი, ექიმი, სამხედრო სარდალი, გაზეთის რედაქტორი, მეცნიერ-მუშაკი და მოწინავე მუშა ახალგაზრდობის პერიოდში ფიზკულტურით იყო გატაცებული, ცდილობდა ერთი აგური მაინც დაედო იმ მტკიცე საძირკვლის შენებისას, რომელზეც აგებულია დღევანდელი, ჩვენი საყვარელი ფიზიკური კულტურა და სპორტი.

დღევანდელი მუშაკები მათს მოღვაწეობას ჯეროვნად არ იცნობენ. საჭირო კია, რადგან წინა კაცი უკანასი ხიდიაო, ამბობს ბრძენი ხალხი და დღევანდელებსაც უფრო მეტი ხალისი ექნებათ, თუ თავს მომავლის „ხიდად" წარმოიდგენენ, თუ ისე იმუშავებენ, რომ მომავალში ისინიც გაიხსენონ.

## შალვა ელიავა და ქართული სპორტი

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში მოეწყო ცნობილი რევოლუციონერის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლის შალვა ელიავას დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა დახატეს უაღრესად საინტერესო, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების სურათი. კარგია, რომ ინსტიტუტმა გააცნო თანამედროვეებს ერთ-ერთი ცნობილი რევოლუციონერი, მაგრამ მე მაინც გული დამწყდა, რომ არც ერთმა გამომსვლელთაგანმა არ აღნიშნა შალვა ელიავას დამსახურება ჩვენი რესპუბლიკის სპორტის განვითარებაში. ის ხომ ოთხი წლის გამავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოში ახალფეხადგმულ საბჭოთა სპორტს, ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს, სპორტის განვითარების საქმეს და არცთუ ცუდად გვეხმარებოდა მინდობილი „დავალების შესრულებისა" და „დატვირთვის" წესით კი არა, საქმის ჭეშმარიტი სიყვარულით.

შალვა ელიავა, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, რაც მას აწვა, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და ამიერკავკასიის რკინიგზათა სახალხო კომისარს, პოულობდა დროს, რომ დასწრებოდა თბილისში გამართულ შეჯიბრებებს და დახმარება გაეწია ჩვენი სპორტისთვის. შეჯიბრებაზე დასწრებას ის სპორტსმენებთან საქმიანი კონტაქტისთვის იყენებდა და ერთგვარი მოხერხებული ორგანიზაციული ფორმაც კი შექმნა „მართვისა" (როგორც ახლა იტყვიან), რამაც ბევრი კარგი შედეგი მოუტანა ჩვენს სპორტს, მაგრამ ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

### შალვა ელიავას თანამედროვეობა და ფიზკულტურული გარემო

მთავრობის დადგენილებით, უწყებათა შორის ფიზიკური კულტურის ხელმძღვანელობის კოორდინაციის მიზნით, ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოებრივი კონტროლისა და ზედამხედველობისთვის, 1922-23 წლებში საჭირო გახდა სპეციალური საუწყებათაშორისო სახელმძღვანელო ცენტრის — ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს შექმნა. მანამდე ფიზკულტურას ცალკეული უწყება-ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. ისინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ დაკისრებულ საქმეს, მაგრამ ღონისძიებათა შეთანხმება და ერთიანი პრინციპების დადგენა მაინც საჭირო შეიქნა.

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატთან არსებობდა საყოველთაო სამხედრო სწავლების სამმართველო („ვსევობუჩი"), რომელსაც ცენტრში ხელმძღვანელობდა კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში კარგად ცნობილი ნ. პოდვოისკი. თბილისში ასეთივე სამმართველოს უფროსი იყო ვალერიან გიორგაძე — პეტროგრადის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რომელიც შემდეგ საქართველოში მოავლინეს.

„ვსევობუჩი" ახალგაზრდობის ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობდა, სპორტულ წრეებს და ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაარსებულ სპორტულ ორგანიზაციებს იყენებდა ახალგაზრდობის სამხედრო მომზადების მიზნით. ეს ორგანიზაცია 1918 წლის აპრილში შეიქმნა. მისი ხელმძღვანელობა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა მიანდო ნ. პოდვოისკის, რომელმაც დიდი ენერგიით მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. პირველი სახელმწიფო სასკოლო პროგრამაც მან დაამუშავა კომუნისტური პარტიის VII ყრილობის მითითებათა მიხედვით. ამ პროგრამას, მიუხედავად იმისა, რომ „ვსევობუჩიდან" გამოდიოდა, უმეტესად გამაჯანსაღებელი მიმართულება ჰქონდა. მას ეტყობოდა დიდი გავლენა ფიზიკური აღზრდის მეორე სახელმძღვანელო ცენტრისა, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში შეიქმნა. 1917 წლის 9 ნოემბერს განათლების სახალხო კომისარს ა. ლუნაჩარსკის ვ. ლენინმა მიუთითა სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების შემოღების აუცილებლობაზე. ეს მითითება დაედო საფუძვლად სახალხო განათლების კომისარიატში საექიმო-სანიტარული სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებას (გამოქვეყნებული იყო 1917 წლის 24 ნოემბერს), რომლის მიხედვითაც სკოლებში უნდა დაწესებულიყო საგანგებო თვალყური მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისადმი, შემოეღოთ ტანვარჯიში, სპორტი, თამაშობები, ბანაობა, გასეირნებები.

მეორე სახელმძღვანელო ცენტრად გადაიქცა სწორედ ეს საექიმო-სანიტარული განყოფილება, რომელიც სახალხო განათლების სახელმწიფო კომისიის სახალხო განათლების კომისარიატად გარდაქმნის შემდეგ სასკოლო ჰიგიენის განყოფილებად გადაკეთდა და რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლენინის თანამებრძოლი, ექიმი ქალი ვ. ბონჩ-ბრუევიჩი (ველიჩკინა).

მესამე ცენტრი იყო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სადაც ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში ფიზკულტურის ქვეგანყოფილებაც შედიოდა.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში, როცა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას სამი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა (თუ არ ჩავთვლით კომკავშირსა და პროფკავშირებს, რომლებიც ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაზე პრეტენზიას ჯერ კიდევ არ აცხადებდნენ), საჭირო გახდა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნა. სხვათა შორის, ყველა ეს ორგანიზაცია აცხადებდა პრეტენზიას უპირატეს უფლებამოსილებაზე. განათლებისა და ჯანმრთელობის კომისარიატებში ეს საკითხი პროექტების დამზადებას ვერ სცილდებოდა, სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატმა კი პირველმა ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე შექმნა საყოველთაო-სამხედრო მომზადების სამმართველოსთან (ასევე ყველა არმიასთან, მათ შორის ამიერკავკასიის შტაბში) ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოები. ასეთივე საბჭოების შექმნას აპირებდნენ ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატები, რომელთაც 1920 წლის 21 ოქტომბერს წარუდგინეს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას დეკრეტის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, 17 წლამდე ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდას განაგებდა განსახკომი, ხოლო შემდეგ — „ვსევობუჩი".

მხოლოდ 1923 წელს (27 ივნისს) შეიქმნა პირველი საუწყებათაშორისო ორგანო საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან — ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ნ. სემაშკო დამტკიცდა. ამ ორგანოს ვითომ უნდა მოესპო უწყებათა შორის ერთგვარი დავა ხელმძღვანელობის საკითხზე, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენ, ქართული სპორტის მუშაკებს, კარგად გვესმოდა, რომ ხელმძღვანელი ორგანო უნდა ყოფილიყო ნამდვილად უფლებამოსილი და ყოველგვარი უწყებრივი გადახრისგან თავისუფალი. ჩვენ საკმაო გამოცდილება გვქონდა საიმისოდ, რომ თვალსაჩინო გაგვეხადა ის ზოგიერთი შეუსაბამობა, რაც ფიზკულტურულ მოძრაობაში ხდებოდა და რამდენიმეჯერ აღინიშნა კიდეც იმდროინდელ დოკუმენტებში, უმთავრესად რკპ ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილებაში.

მაინც, რაში მდგომარეობდა ეს „აზრთა სხვადასხვაობა" და შეუსაბამობა?

ცენტრში ჯანმრთელობისა და განათლების ორგანოების მუშაკების „იდეური" წამოწყებით, რასაც ახალგაზრდული ორგანოებიც აჰყვნენ, გამოცხადდა ბრძოლა ყოველგვარი სპორტის წინააღმდეგ. მიღწევისთვის ბრძოლა მიჩნეული იყო „რეკორდომანიად", გამარჯვებისკენ სწრაფვა — „ჩემპიონომანიად", ინდივიდუალური წვრთნა — „ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმად". აქედან გამომდინარე, სპორტული ტანვარჯიში და იარაღები მონათლა სოციალურად მიუღებელ მეთოდად, ეს კი მიმდევარნი და სპეციალისტები — საბჭოთა ფიზკულტურის მტრებად და ა. შ.

საქართველოში ჩვენ შევძელით არ დაგვეშვა ვიწრო უწყებრივი გათიშვა, მივაღწიეთ იმას, რომ ყველასთვის თავი მოგვეყარა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ.

აი, ასეთ პერიოდში მოუხდათ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ჯერ ვანო და გიორგი სტურუებს, შემდეგ — შალვა ელიავას. არც ერთი მათგანი ცალკე უწყების ხელმძღვანელი არ ყოფილა.

ამ ორი წლის წინათ ჩვენ „ლელოს" ფურცლებზე მოვიგონეთ, რომ ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვანო სტურუამ ერთ-ერთი სხდომის შემდეგ თვითონ განაცხადა: ეს ძალიან საჭირო, დიდი მნიშვნელობის საქმეა და მისი ხელმძღვანელობა უეჭველად ჩემზე ახალგაზრდა მუშაკს შეჰფერისო. ორი კვირის შემდეგ მართლაც შეგვიცვალეს ხელმძღვანელი — მთავრობის თავმჯდომარე შალვა ელიავა დაგვინიშნეს.

* * *

ვანო სტურუას შემდეგ თავმჯდომარის შერჩევაში დიდი მონაწილეობა მიიღო მისმა ძმამ, კპ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გიორგი სტურუამ.

მახსოვს, მან დაგვიბარა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს ახალი პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ აბაზაძე და მე (იმ დროისთვის უკვე სამეცნიერო-მეთოდური კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავი მიწვეული). დიდხანს გველაპარაკა, გამოგვკითხა ამბავი, კომკავშირის ძველი ღონისძიებანი, იკითხა, რატომ ვერ იხეირა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ორგანიზაციამ, რომელიც „შევარდენის" დახურვის შემდეგ კომკავშირთან ჩამოყალიბდა, რატომ არ უშვებს „სპარტაკი" სასკოლო დარბაზებში პროფკავშირის წრეებს და რა არის საჭირო წინსვლისთვისო.

პასუხის შემდეგ გ. სტურუამ დაგვავალა მოგვეწვია საბჭოს ერთი სხდომა, სადაც თავმჯდომარეობას ის გაუწევდა. სხდომაზე მან გამოგვიცხადა: მთავრობამ დააკმაყოფილა თქვენი და ჩვენი თხოვნა, რომ საბჭოს თავმჯდომარედ დაენიშნათ ავტორიტეტული საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი. მაგრამ თქვენ უნდა გააათკეცოთ მუშაობა, რადგან ახალ თავმჯდომარეს, რასაკვირველია, წვრილმანებისთვის დრო არ ექნებაო. იქვე დაურეკა მან სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და უთხრა: აქ არიან შეკრებილი სპორტსმენები და კომკავშირელები. ერთ საათში საბჭოს ყველა წევრი შენთან მოვა და უწყება-ორგანიზაციების წარმომადგენლებიც არიან გამოძახებულიო.

ჩვენ, რასაკვირველია, მაშინვე წავედით სახკომსაბჭოში, რომელიც დღევანდელ პიონერთა სასახლეში იყო მოთავსებული. თავმჯდომარემ არ გვაცდევინა, ისე მიგვიღო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ სახალხო კომისრები შ. მათიკაშვილი, დ. კანდელაკი, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგე ი. ჭელიძე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ანდრო საკვიანი, ვანო კიკნაძე, რკინიგზის პოლიტსამმართველოს უფროსი გიორგი (ქორა) ქავთარაძე, თბილისის სამხედრო კომენდანტი ლადო აბაშიძე, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ივანოვ-კავკასკი; სამხედრო შტაბიდან — ანატოლი მელნიკოვი და გაიოზ ბერელაშვილი.

სპეციალისტებიდან ვესწრებოდით გიორგი ეგნატაშვილი, გიტო გიორგიძე, ექიმი გიორგი მღებრიშვილი, მიტო სამუშია და მე.

შალვამ გვითხრა, სპორტი მიყვარს და ვეცდები დახმარება გავუწიო კომკავშირელებსა და ფიზკულტურელებს რესპუბლიკაში ამ საქმის წარმატებისთვისო.

„მე ჯერ ოფიციალურად გაფორმებული არა ვარ, მაგრამ პირველ სხდომას სახკომსაბჭოს თავმჯდომარის უფლებებით ჩავატარებ და, მგონია, არავის დაგვსჯის, თუ რამდენიმე ორგანიზაციულ საკითხს გადავწყვეტთ. პირველი, რაც საჭიროა გადაწყდეს, ბინის საკითხია, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს იმ „სობოროში" რა უნდა (დღევანდელი მთავრობის სახლის ადგილას მაშინ გაუქმებული სამხედრო ტაძარი, ეგრეთ წოდებული „სობორო" იდგა, რომელიც ჩვენ გადმოგვეცეს. იქ იყო ამიერკავკასიის, საქართველოს და თბილისის ფიზკულტურის საბჭოები)! ხვალიდანვე გადმობარგდით სასახლეში, ჯერჯერობით სარკეებიან დარბაზში დაგაბინავებთ", — თქვა შალვამ.

შემდეგ მან გამოგვიცხადა, რომ საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად, ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით, დამტკიცებული იყო მიხეილ აბაზაძე, საბჭოს სამეცნიერო-მეთოდური კომიტეტის თავმჯდომარედ — მე, რაიონების ინსპექტორ-ორგანიზატორად — გიტო გიორგიძე. საბჭოს დანარჩენი წევრები საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დაემტკიცებინა.

შემდეგ შალვამ მეორე სხდომისთვის მომზადება დაგვავალა.

„ქართული ჭიდაობის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ, კერძო ვაჭრებს რომ აქვთ ჩაგდებული ხელში; ცხენოსნობაში ერთი კარგი შეჯიბრება უნდა მოვაწყოთ. სამეგრელოში ახლაც ატარებენ ამ შეჯიბრებებს უჩვენოდ და რელიგიურ დღესასწაულებზე აფუჭებენ ცხენებს, ამასაც უნდა მოვუაროთ", — გვითხრა მან.

მე მოვახსენე, რომ ამ საქმეს წარმატებით აკეთებს სენაკში ისაკ კიზირია, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს იქ-მეთქი.

„უნდა გამოვიძახოთ და მოვუსმინოთ, რა ღონისძიებანი ტარდება. მოსთხოვეთ, რა საკითხებს ამუშავებენ კომკავშირი, პროფკავშირი", — მომიგო პასუხად.

შემდეგ თავმჯდომარემ იკითხა, რა სპორტული ღონისძიებები ტარდება უახლოეს დღეებშიო. სწორედ იმ დღეებში „არსრაიონისა" და „დინამოს" ფეხბურთელთა შეხვედრა უნდა გამართულიყო და ეს მოვახსენეთ. დროზე შემატყობინეთ და დავესწრებიო, გვითხრა შალვამ.

სხდომა რომ დახურა, შალვამ მე და აბაზაძე დაგვტოვა, გეგმა მოგვკითხა. ჩვენ ვთხოვეთ მიღების საათები დაენიშნა. შალვამ კალენდარს გადახედა. სამშაბათობით და პარასკეობით შემიძლია დილის 10 საათიდან მიგიღოთ, საბჭოს სხდომებისთვის კი დრო ორსამ კვირაში ერთხელ გამოვნახოთ, თუ ოპერატიულად ვიმუშავებთ, ესეც გვეყოფაო. საბჭოზე ისეთი საკითხები გავიტანოთ, რაც ყველას ეხება, შინაური საქმეებით წევრებს ნუ დავტვირთავთო.

ყოველ სამშაბათსა და პარასკევს მიგვქონდა შალვასთან საკითხები გადასაწყვეტად. მისი მზრუნველობა ენერგიას გვმატებდა. მისი ხელის მოწერა ყოველგვარი მიმართვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმართვა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს ბლანკზე იყო დაბეჭდილი, ყველგან ჭრიდა — სახალხო კომისარიატებში, რკინიგზაზე, სამეურნეო დაწესებულებებში, სასწავლებლებში. საკითხების გადაჭრისას შალვა სპორტის დიდ ცოდნას იჩენდა. იგი კარგად იცნობდა სპორტის ქართულ ხალხურ სახეობებს, კლასიკური სპორტიდან — ჭიდაობას, ძალოსნობას, მძლეოსნობას, ფეხბურთს, მეტად დაინტერესებული იყო სპორტული ორგანიზაციების მუშაობის არსით, ეცნობოდა ძველი ორგანიზაციების წესდებებს, კერძოდ, შალვას აინტერესებდა „სოკოლის" და „შევარდენის" მუშაობის შინაარსი, მეთოდები, კარგი და ცუდი მხარეები.

შალვა არასდროს ყოფილა ყოველივე ძველის მოსპობისა და გაჩანაგების მომხრე, იგი მუდამ საღი აზრისა და სასარგებლო ღონისძიების მაძიებელი და ქომაგი იყო.

მახსოვს, საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა საკითხი დასვა, რომ უნივერსიტეტში ძლივძლივობით შექმნილ ფიზკულტურის კათედრაზე თამარ ნიკოლაძე გაეთავისუფლებინათ და მის მაგიერ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი მ. გ-ძე დაენიშნათ. მიზეზი ის იყო, რომ განათლების სახალხო კომისარიატისადმი კათედრის დაარსების გამო წარდგენილ მოხსენებაში თ. ნიკოლაძეს აღნიშნული ჰქონდა, სკოლის მოსწავლეთა 15 პროცენტს ხერხემლის გამრუდება აქვსო. ეს მიიჩნიეს ცილისწამებად, ვითომ თამარი ამ სიტყვებით ააშკარავებდა თავის უარყოფითს დამოკიდებულებას საბჭოთა ახალგაზრდობისადმი.

შალვამ მოისმინა მომხსენებლის ყველა მოსაზრება და მერე მე მომცა სიტყვა. მე ვთქვი, რომ თამარი საბჭოთა ხელისუფლებისთვის აქტიური დახმარების მოსურნეა და ახალ ცხოვრებას დიდი ენთუზიაზმით ეპყრობამეთქი. შალვამ შემაჩერა: „თქვენ მის სპეციალურ ცოდნაზე გვითხარით, შეიძლება თუ არა უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის კურსი ასწავლოს?"

(დასასრული იქნება)

ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

# თამაშების ცხრილები

კრიტიკალი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." | 28 | 16 | 6 | 6 | 52—23 | 38 |
| ასკ | 29 | 14 | 9 | 6 | 43—26 | 37 |
| „კრ. სოვ." | 29 | 15 | 6 | 8 | 47—30 | 36 |
| „დინამო" | 28 | 15 | 6 | 7 | 40—28 | 36 |
| „ნეფთჩი" | 28 | 13 | 8 | 7 | 34—21 | 34 |
| „ტავრია" | 28 | 14 | 4 | 10 | 52—37 | 32 |
| „კუზბასი" | 28 | 14 | 4 | 10 | 36—34 | 32 |
| „ტორპედო" | 28 | 10 | 9 | 9 | 25—29 | 29 |
| „სპარტაკი" (ნალჩ.) | 29 | 8 | 12 | 9 | 25—28 | 28 |
| „ურალმ." | 29 | 10 | 8 | 11 | 29—36 | 28 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 29 | 12 | 4 | 13 | 32—43 | 28 |
| „შინიკი" | 28 | 9 | 9 | 10 | 36—37 | 27 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 28 | 10 | 7 | 11 | 30—34 | 27 |
| „ზვეზდა" | 29 | 10 | 7 | 12 | 39—47 | 27 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 29 | 6 | 13 | 10 | 28—33 | 25 |
| „ყუბანი" | 29 | 7 | 9 | 13 | 41—55 | 23 |
| „პამირი" | 26 | 6 | 10 | 10 | 29—31 | 22 |
| „სტროიტ." | 28 | 7 | 8 | 13 | 27—38 | 22 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 28 | 6 | 9 | 13 | 25—35 | 21 |
| „ტექსტილ." | 28 | 4 | 6 | 18 | 24—49 | 14 |

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 29 | 17 | 7 | 5 | 67—24 | 41 |
| „კრ. სოვ." | 29 | 13 | 12 | 4 | 34—16 | 38 |
| „ტექსტილ." | 28 | 14 | 6 | 8 | 44—24 | 34 |
| „დინამო" | 28 | 12 | 8 | 8 | 39—32 | 32 |
| „ლოკომ." | 28 | 13 | 6 | 9 | 29—22 | 32 |
| „პამირი" | 25 | 12 | 7 | 6 | 39—25 | 31 |
| „ნეფთჩი" | 28 | 11 | 9 | 8 | 36—32 | 31 |
| „ზვეზდა" | 29 | 12 | 6 | 11 | 44—42 | 30 |
| „კუზბასი" | 28 | 10 | 9 | 9 | 36—31 | 29 |
| „მეტ." (ზ.) | 27 | 11 | 7 | 9 | 36—38 | 29 |
| „შინიკი" | 28 | 10 | 8 | 10 | 45—46 | 28 |
| „სპარტაკი" (ორ.) | 29 | 9 | 10 | 10 | 26—29 | 28 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 28 | 9 | 9 | 10 | 35—37 | 27 |
| „ურალ." | 29 | 8 | 11 | 10 | 33—38 | 27 |
| „ყუბანი" | 29 | 9 | 6 | 14 | 35—37 | 24 |
| „ტავრია" | 28 | 8 | 8 | 12 | 28—37 | 24 |
| „სპარტაკი" (ი.-ფრ.) | 28 | 9 | 6 | 13 | 26—42 | 24 |
| „სტროიტ." | 28 | 8 | 5 | 15 | 29—42 | 21 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 28 | 3 | 12 | 13 | 24—53 | 18 |
| „ტორპედო" | 28 | 3 | 7 | 18 | 23—61 | 13 |

II ლიგა III ზონა

## თამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 29 | 17 | 8 | 4 | 45—19 | 42 |
| „დინამო" (ბათუმი) | 29 | 15 | 10 | 4 | 40—15 | 40 |
| „დილა" (გორი) | 29 | 17 | 5 | 7 | 64—32 | 39 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 29 | 15 | 8 | 6 | 47—27 | 38 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 30 | 16 | 6 | 8 | 45—25 | 38 |
| „ურალანი" (ელისტა) | 30 | 15 | 6 | 9 | 41—29 | 36 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 29 | 13 | 8 | 8 | 40—26 | 34 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 29 | 12 | 8 | 9 | 35—37 | 32 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 30 | 13 | 5 | 12 | 39—38 | 31 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 30 | 11 | 8 | 11 | 43—30 | 30 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 29 | 12 | 4 | 13 | 42—37 | 28 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 30 | 7 | 14 | 9 | 36—37 | 28 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 29 | 8 | 10 | 11 | 35—47 | 26 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 30 | 10 | 5 | 15 | 31—38 | 25 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 29 | 10 | 5 | 14 | 34—48 | 25 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 30 | 10 | 5 | 15 | 31—54 | 25 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 29 | 10 | 3 | 16 | 29—42 | 23 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 30 | 8 | 6 | 16 | 25—39 | 22 |
| „ფოლადი" (რუსთავი) | 29 | 5 | 3 | 21 | 17—55 | 13 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 29 | 3 | 7 | 19 | 17—61 | 13 |

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

# წესრიგის დამრღვევნი დაისაჯნენ

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა განიხილა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროსი მწვრთნელების სამუშაოზე დანიშვნისა და გათავისუფლების დაწესებული წესის უხეშ დარღვევათა საკითხი. ამის თაობაზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო ხანებში რიგმა სპორტკომიტეტებმა უხეშად დაარღვიეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის 1970 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით დაწესებული წესი საფეხბურთო გუნდების უფროს მწვრთნელთა სამუშაოზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ.

ასე, 1974 წლის ივლის-აგვისტოში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს გ. ჩოხელი („დინამო", თბილისი), ვ. ბლინკოვი („ზარია", ვოროშილოვგრადი), ი. ზახაროვი („შახტიორი", დონეცკი). ზემოაღნიშნული მწვრთნელები სამუშაოდან ფორმალურად იქნენ გათავისუფლებული საკუთარი განცხადებათა საფუძველზე, ფაქტიურად კი ისინი მოხსნეს XXXVI საკავშირო ჩემპიონატში იმ გუნდების წარუმატებელი გამოსვლებისთვის, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ.

საქართველოს სსრ სპორტკომიტეტი, ვოროშილოვგრადისა და დონეცკის საოლქო სპორტკომიტეტები ოსტატთა გუნდებისთვის ქმედითი დახმარების, კლუბებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სისტემატური კონტროლის, ადგილებზე რეზერვებისა და მწვრთნელთა კადრების მომზადების, თანამედროვე საწვრთნელი ბაზების შექმნის ნაცვლად აგრძელებენ უფროსი მწვრთნელების შეცვლის მანკიერ პრაქტიკას და ეს მიაჩნიათ გუნდების სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ საშუალებად.

ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თვით მწვრთნელებმა ჩოხელმა, ზახაროვმა და, განსაკუთრებით, ბლინკოვმა ვერ გამოავლინეს საჭირო პრინციპულობა და მომთხოვნელობა წამოჭრილ სიძნელეებთან ბრძოლაში, იოლად დაწერეს სამუშაოდან გათავისუფლების განცხადება, არ ცდილობდნენ უზრუნველეყოთ მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი კოლექტივების სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება.

**სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდების უფროს მწვრთნელთა დანიშვნისა და გათავისუფლების დადგენილი წესის უხეში დარღვევისთვის საყვედური გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკური სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს, ვოროშილოვგრადის საოლქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ვ. პიხტერევს და დონეცკის საოლქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ა. კუჩეროვს.**

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო სპორტკომიტეტებს, პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს (ნ. რიაშენცევი), სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალურ საბჭოს (პ. ბოგდანოვი), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტს (ნ. კოშელევი) წინადადება მიეცათ აამაღლონ მომთხოვნელობა სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროსი მწვრთნელების დანიშვნისა და გათავისუფლების დადგენილი წესის დასაცავად.

დადგენილებაში უმაღლესი ლიგის კლუბების უფროს მწვრთნელთა ყურადღება განსაკუთრებითაა გამახვილებული იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი პასუხისმგებლობა საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობათა მიმართ, საჭიროა უფრო სრულად გამოვლინდეს მათი პრინციპულობა და მომთხოვნელობა ფეხბურთელებთან სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობისას. თუ ოსტატთა გუნდების უფროსი მწვრთნელები უმაღლესი ლიგის კოლექტივებს დატოვებენ საკავშირო სპორტკომიტეტის ნებართვის გარეშე, მათ შემდგომში ჩამოერთმევათ ოსტატთა გუნდებთან მუშაობის უფლება. ასე, სსრ კავშირის სპორტკომიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ვ. ბლინკოვის მუშაობა უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდებთან 1974-1975 წლებში.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს (ლ. ზენჩენკო), სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას (ბ. ფედოსოვი) დაევალათ განიხილონ საკითხი, შესაძლებელია თუ არა უფროსი მწვრთნელების თანამდებობაზე დაინიშნონ ვოროშილოვგრადის „ზარიაში" ე. პესტოვი, დონეცკის „შახტიორში" — ვ. სალკოვი და თბილისის „დინამოში" — მ. იაკუშინი, აგრეთვე, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში გაითვალისწინონ დისციპლინარული სასჯელები იმ კლუბების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მიერ დადგენილ წესს უფროსი მწვრთნელების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე.

## ჩემპიონობის პრეტენდენტები

ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, კიდევ ორი (VI და VII) ტური გათამაშდა.

ახალგაზრდა ე. გრიგორიევამ (ლენინგრადი) ფ. ნიგმატზიანოვასა (ყაზანი) და გ. გრებერს (ალმაათა) ფარ-ხმალი დააყრევინა და ლიდერობა დაიბრუნა. უწინდელი ლიდერი ნ. ლოგინოვა (მინსკი) ლ. გაივორონოვასთან (ლენინგრადი) დამარცხდა, მეორე პარტია კი სსრ კავშირის ჩემპიონ პ. სამოხინასთან (ოდესა) რთულ მდგომარეობაში გადადო.

ორი გამარჯვება მოიპოვა ა. ვოლკოვამ (ვოროშილოვგრადი). მან სძლია გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ვ. ვოლიუვიჩს (ხარკოვი) და თ. ილინას (კიშინიოვი). ახლა ვოლკოვას და ა. ხრულიოვას (ოდესა) 4,5-4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ვოლიუვიჩი კი 5 ქულით ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყვება, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება მას.

როგორც ჩანს, ბრძოლა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის სწორედ ამ დაწინაურებულ მოჭადრაკეთა შორის გაჩაღდება.

თ. ნინოშვილი.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

# თითქოს გუშინ იყო...

ეს სურათი 20 წლის წინათ, 1954 წლის ზაფხულში თბილისის პიონერთა სასახლის აივანზეა გადაღებული საქართველოს მოსწავლე გოგონათა პირველობის შემდეგ. მანანა ტოგონიძის ჩემპიონობით და ნონა გაფრინდაშვილის ნიჭიერი თამაშით ვახტანგ ქარსელაძე ისე იყო გახარებული, რომ თვითონ ისურვა ამ, ახლა უკვე ისტორიული, სურათის გადაღება.

იმავე ზაფხულს მანანამ კიდევ უფრო დიდი კმაყოფილება და სიამაყე განაცდევინა თავის მწვრთნელს, როცა ლენინგრადში თანატოლთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებამ საბოლოოდ დააჯერა ვახტანგ ქარსელაძე, რომ მან სწორად აირჩია თავისი ცხოვრების გზა.

მერეც, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში ოსტატმა ტოგონიძემ ბევრჯერ ასახელა ამაგდარი მწვრთნელი, სახელი გაუთქვა მის სკოლას.

ჩემი თაობის ბევრ წარმომადგენელს ახსოვს ნორჩი ნონა მოსწავლის საფორმო ტანსაცმელში, გრძელ ნაწნავებზე თეთრი ბაფთებით... იგი გატაცებით ეთამაშებოდა მ. ტოგონიძეს (იხ. სურათი).

ვახტანგმა ნონა გაფრინდაშვილი ბათუმში გაიცნო 1953 წელს. მასზე ბევრს მიამბობდა, გოგონას ნიჭს აქებდა. ამიტომ, როცა გოგონათა რესპუბლიკური პირველობა დაიწყო, დამირეკა: მოდი, იმ საოცარ გოგონას გაგაცნობო.

პირველობა სასახლის აივანზე მიმდინარეობდა. მოსწავლეები მორიგი ტურის პარტიებს თამაშობდნენ.

— კუთხეში რომ პატარა თამაშობს, ისაა ნონა, — ჩამჩურჩულა ვახტანგმა. ზუგდიდელი გოგონა ისე იყო ბრძოლით გართული, რომ ვერავის ამჩნევდა.

მის მაგიდას მივუახლოვდი. დავაცქერდი პოზიციას: საქმე ცუდად ჰქონდა. ვახტანგს გამოვხედე: ეს რა მოჭადრაკეა-მეთქი?!

— ჯერ ძლიერად ვერ თამაშობს, მაგრამ საოცრად ნიჭიერია. თბილისში რომ გადმომაყვანინა, მთებს შევძრავთ, — თქვა ოცნებით ვახტანგმა. მერე დაჯერებულად დასძინა: — იგი მომავალი მსოფლიო ჩემპიონია!

ვახტანგს ზოგჯერ გაზვიადება უყვარდა. ეჭვით შევხედე.

— არა გჯერა? გავა დრო და დარწმუნდები.

იგი მართალი აღმოჩნდა. მერე, როცა ნანა ალექსანდრია გამაცნო, მჯეროდა, რომ ისიც დიდი ყალიბის მოჭადრაკე გახდებოდა.

ჩემპიონატში ნონამ მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. ეს შედეგი ვახტანგს სავსებით აკმაყოფილებდა.

იმავე წელს ნონა თბილისში თავის დეიდასთან დასახლდა და ჭადრაკის სიბრძნეს დაეწაფა. ბევრჯერ შევსწრებივარ პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში გვიანამდე მომეცადინე ნონასა და ვახტანგ ქარსელაძეს. გართულებს, ჭამაც ავიწყდებოდათ, თუმცა ვახტანგს თავის საყვარელი მოწაფისთვის მუდამ ჰქონდა უპრეტენზიო წასახემსებელი.

1956 წელს ნონა ქვეყანამ გაიცნო. გოგონას თვალსაჩინო წარმატებებმა მის უანგარო, თავდადებულ მწვრთნელს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება და დიდი აღიარება მოუტანა.

ვახტანგს უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები, განსაკუთრებით, თავისი მოწაფეები. მანანა ტოგონიძესთან დაკავშირებით ასეთი ამბავი მახსენდება.

1961 წლის მაისში საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები რუმინეთში კარპ საერთაშორისო მატჩის სათამაშოდ. ვახტანგი, როგორც მწვრთნელი, ყურადღებას არავის გვაკლებს, მაგრამ თავის უშუალო მოწაფეებს კრუხივით დასტრიალებს თავს.

ერთ საღამოს ბუქარესტის სასტუმრო „ამბასადორის" რესტორანში ვვახშმობთ (ამ სასტუმროში ვცხოვრობდით). უკრავს ორკესტრი.

— ეს დეპეშა წაიკითხეთ, — მითხრა ნონამ, რომელიც გვერდით მეჯდა ტოგონიძესთან ერთად. მშობლები მანანას დაბადების დღეს ულოცავდნენ. რა თქმა უნდა, მეც მივულოცე მანანას ეს დღე.

— ჩვენ ორი ბოთლი „ხვანჭკარა" გვაქვს, გვინდა ყველამ თითო ჭიქით ადღეგრძელოს მანანა. ვახტანგი ხომ არ გაგვიჯავრდება? — მკითხა ნონამ და მაგიდის ქვეშ დამალულ ბოთლებზე მანიშნა.

— არა მგონია, ხვალ დასვენების დღე გვაქვს, — ვუპასუხე.

ვუთხარი ვახტანგს. შეწუხდა, რომ მას პირველს არ გაახსენდა მანანას დაბადების დღე.

ვახშამი გაგვიგრძელდა. რესტორანში მხოლოდ მუსიკოსები დარჩნენ. ესტრადის მომღერალსა, რომელსაც უკვე ვიცნობდით, დაყოვნების მიზეზი გვკითხა. როცა ვუთხარით, თვალები გაუბრწყინდა. პასპორტი ამოიღო და გვიჩვენა, რომ თვითონაც იმ დღეს ყოფილა დაბადებული. მაშინვე მუსიკოსებს საკრავები მოამართვინა. ვახტანგმა მუსიკოსებს რამდენიმე ქართული მელოდია მიაწოდა და მომღერალმა ქართული პოპულარული სიმღერების სახელდახელო კონცერტი გაგვიმართა.

მუსიკის დიდი ტრფიალი ვახტანგი აღტაცებაში მოიყვანა მომღერლის გულითადობამ. აღფრთოვანებულმა რომან ჯინჯიხაშვილს ნომრიდან ქართული კონიაკების კოლოფი მოატანინა და მომღერალს უსაჩუქრა. ეს კოლოფი ვახტანგს მასპინძელ მოჭადრაკეთათვის ჰქონდა წამოღებული, ამიტომ ყველანი გავვოცდით მისი ძღვენით. მოულოდნელმა საჩუქარმა თავდავიწყებამდე ამღერა რუმინელი მომღერალი.

მეორე დღეს ვახტანგმა მითხრა:

— ვიცი ზოგიერთს გაუკვირდა ჩემი გუშინდელი საქციელი, მაგრამ სრულებით არ ვნანობ: მან ჩემი მანანას დღეობა შორეულ რუმინეთში ქართული სიმღერებით გამილამაზა!

ყოველივე ეს თითქოს გუშინ იყო...

თ. გიორგაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## „რეკორდები", „რეკორდები"...

მსოფლიო რეკორდი შესაძლოა დაამყაროთ რბენაში, ხტომაში, ცურვაში, სროლაში და ა. შ. მაგრამ დასავლეთში რეკორდომანიით გატაცებული არიან ისინიც, ვისაც არასდროს ჰქონია საქმე სპორტთან.

ამას წინათ ინგლისში, ქალაქ სკარბოროში გაიმართა მყვირალათა II ჩემპიონატი, სადაც გაუმჯობესდა ორი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი. შარშან, ქალთა ტურნირი „სპორტის ამ სახეობაში" მ. ფეზერსტოუნმა მოიგო. იგი წლეულსაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თანაც გააუმჯობესა შარშანდელი მიღწევა (ყვირილის ძალა — 106,6 დეციბელი) და, როგორც სპეციალისტები ამბობენ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 109,7 დეციბელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულს 0,3 დეციბელით ჩამორჩა მისი მეუღლე, რომელიც პირველი იყო ვაჟთა ტურნირში. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცოლ-ქმარი ფეზერსტოუნები ყველაზე ხმაურიანი წყვილია მსოფლიოში.

ქალაქ იორკის (აშშ, პენსილვანიის შტატი) მკვიდრს ბ. ბოიდს სულ სხვაგვარი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის. მან გაიმარჯვა საზამთროს მარცვლების გადაფურთხებაში და ახალი რეკორდის ჭერი 16,50 მეტრამდე აიყვანა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ასპარეზობაში 340-მდე „სპორტსმენი" მონაწილეობდა.

აი, კიდევ ერთი რეკორდსმენის ვინაობა. სახელი ფრედი, გვარი — მაგუიარი. კანადის მცხოვრები.

ფრედ მაგუიარის სპეციალობაა აბაზანით ცურვა, რომელსაც 5 ცხენისძალიანი ძრავა აქვს გამობმული.

1963 წელს, 19 წლის რეკორდსმენმა თავისი „იახტით" 150 მილი დაფარა ნანაიმოდან სიეტლამდე. ახლა მაგუიარი 30 წლისაა, უფრო „დაღვინებული სპორტსმენია" და შედეგიც, რა თქმა უნდა, უფრო სოლიდური აქვს. ამას წინათ მან ვანკუვერის კუნძულს შემოუარა „იახტით", რომელიც, როგორც გაზეთები იუწყებიან, უფრო მოდერნიზებულია. რეკორდსმენმა 950 მილი დაფარა.

## პროფესია შეიცვალეს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური უწყების მონაცემებით დღესდღეობით ქურდის პროფესიაში ის კი არაა მთავარი, რომ დროზე გაიქცეს დანაშაულის ადგილიდან, არამედ რაც შეიძლება სწრაფად გაერკვეს ბაზრის კონიუნქტურის ცვალებადობაში.

მაგალითად, ენერგეტიკული კრიზისის დროს, რომელმაც მთელი კაპიტალისტური სამყარო მოიცვა, ერთბაშად გაიზარდა ბენზინის ფასი. ქურდები მიხვდნენ, რომ მოპარული ავტომანქანის გასაღება არც ისე იოლი იქნებოდა, ამიტომ პროფესია დროებით შეიცვალეს, — მანქანებიდან მთელი ყურადღება ველოსიპედებზე, განსაკუთრებით სპორტულ ველოსიპედებზე გადაიტანეს, რომლებიც საკმაოდ სარფიანად იყიდებოდა მეზობელ ჰოლანდიაში.

დაიწყო, ეგრეთ წოდებული ველობიზნესი, რომელმაც ერთ წელიწადში ფანტასტიკურ დონეს მიაღწია. ფედერაციული უწყების მონაცემებით, 1973 წელს მოიპარეს 250 ათასამდე ველოსიპედი, 18 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელიწადს. ამავე დროს ავტომანქანების ქურდობა 14 პროცენტით შემცირდა.

პოლიციელთა აზრით, ქურდები საოცრად მოკლე დროში დაეუფლნენ ველოსპორტის ხელოვნებას. ისინი სპეციალურ წვრთნასაც კი გადიოდნენ საზღვარზე მოპარულ მანქანათა გადასაყვანად.



## ნაცნობი მელოდიები

ზაირის დედაქალაქ კინშასაში მწვრთნელების, მასაჟისტების, სპარინგ-პარტნიორებისა და სხვათა თანხლებით ჩავიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის, ამერიკელი მუჰამედ ალი. 25 სექტემბერს იგი აქ შეეცდება ამჟამინდელ ჩემპიონთან ჯორჯ ფორმენთან (აშშ) ორთაბრძოლაში დაიბრუნოს დაკარგული საპატიო წოდება.

წლებმა ვერ შეცვალა ალის ხასიათი. როგორც მრავალი წლის წინათ სონი ლისტონთან ბრძოლის წინ, იგი ახლაც გულდასმით აწარმოებს „ფსიქიკურ შეტევას". კინშასაში და ზაირის დედაქალაქისკენ გზად — პარიზში ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუებში იგი ტრაბახადაა ქცეული და ამტკიცებს, რომ ფორმენთან ბრძოლა „ხაფუნის მოვლენა" იქნება, თუმცა „ერთ რაუნდზე მეტს არ გაგრძელდება", ალიმ ისიც თქვა, რომ „კრივის ისტორიაში მეორე იქნება, ვინც ჩემპიონის წოდების დაბრუნება შეძლო". ერთი სიტყვით, ყოველივე ეს კრივის მოყვარულებისთვის კარგად ნაცნობი უვერტიურის მელოდიებია...

ფორმენს, რომელსაც დღედღეზე მოელიან კინშასაში, თავისი მეტოქისგან განსხვავებით, მორიდებით უჭირავს თავი. თხოვნაზე — კომენტარი გაეკეთებინა ალის „მუქარისთვის", ფორმენმა უპასუხა:

— დაე, ილაპარაკოს.

• • •

სურათზე: მუჰამედ ალი ექვსი წლის ბიჭუნასთან „ბრძოლის" დროს. იგი ნიუ იორკში გაიმართა ალის დაბადების დღეს. მისი მომავალი მეტოქე, ვფიქრობთ, ამ ბიჭუნაზე ძლიერი იქნება და ალი თავს ამდენის უფლებას ვერ მისცემს, რომ დაუცველი დარჩეს.

ცაფ-ის ფოტო.



მარცხენა სურათზე ამერიკული ფეხბურთის მომენტია აღბეჭდილი: „ტოლედო ტრუპერის" ჰავბეკს პ. დევერს (ბურთით) „დალას ბლუბონეტსის" მოთამაშე ს. სპენშელმა გადაუღობა გზა...

მერე და რა არის საინტერესო ამ ჩვეულებრივ ფოტოგრაფიაში? — ალბათ იკითხავთ თქვენ.

საინტერესო ის გახლავთ, რომ დევერის სახელია პეგი (იგი 22 წლისაა), ხოლო სპენშელისა — სიუზეტი (17 წლისაა).

„ტოლედო ტრუპერი" — ამერიკის აღმოსავლეთ შტატების ქალთა პროფესიული ფეხბურთის ლიგის წევრია და დალასში იმისთვის ჩავიდა, რომ ქალთა შორის დასავლეთშიც დანერგოს ამერიკული ფეხბურთი. „დალას ბლუბონეტსი" პირველი ასეთი ქალთა გუნდია დასავლეთში, ეს კი მისი პირველი მატჩია. მიუხედავად ყოველივე ამისა, მან დამაჯერებლად აჯობა გამოცდილ მეტოქეს — 37:12.

იუნაიტედ პრესის ფოტო.




## ქალებიც თამაშობენ...



ქვედა სურათი ქალთა კიდევ ერთ უჩვეულო შეჯიბრებაზე მოგვითხრობს: წლეულს შვეიცარიაში ჩატარდა ქალთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი... ბალახის ჰოკეიში. უძლიერესთა წოდება ჰოლანდიელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა არგენტინის ნაკრები, ხოლო III — გფრ-ის ეროვნული გუნდი.

სურათზე აღბეჭდილია მომენტი ბრინჯაოს მედლებისთვის გამართული მატჩისა, რომელშიც დასავლეთ გერმანიის ჰოკეისტებმა (მუქ ფორმაში) ინდოელ სპორტსმენებს სძლიეს.

ცაფ-ის ფოტო.

## მწვრთნელი განმარტავს

ვარშავა, 10 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრების ბოლო ორმა წარუმატებლობამ (წაგება გდრ-ისა და საფრანგეთის გუნდებთან) სპორტის მოყვარულთა უკმაყოფილება გამოიწვია.

პოლონეთის ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარემ ი. მაიმ და ნაკრების მწვრთნელმა კ. გურსკიმ სატელევიზიო გამოსვლისას თქვეს, რომ ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სპორტული ფორმა დაკარგეს. ამის მთავარ მიზეზად მათ მოთამაშეთა დაღლილობა და ნერვული დაძაბულობა მიაჩნიათ, რაც მსოფლიო ჩემპიონატმა გამოიწვია.

— ჩვენ ახლავე უნდა ვეძებოთ ახალბედები ნაკრებისთვის, — თქვა გურსკიმ, — მაგრამ ვარს, რასაკვირველია, არც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებზე ვიტყვით. მე ეს დროებით კრიზისად მიმაჩნია და მჯერა, რომ გუნდი მას წარმატებით დაძლევს.



● ოტავა, 11 სექტემბერი. კანადის პროფესიულ ჰოკეისტთა ნაკრებმა, რომელიც სსრ კავშირის სპორტსმენებთან შესახვედრად ემზადება, სამი საწვრთნელი მატჩი გამართა დასავლეთ ლიგის ახალგაზრდულ გუნდთან. პირველი ორი მან მოიგო ანგარიშით 7:2 და 6:5. მესამე თამაშში, რომელშიც ნაკრების ყველა წევრს არ მიუღია მონაწილეობა, დასავლეთ ლიგის ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს — 3:2.

● მოსკოვი, 11 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზის საერთაშორისო გათამაშების დღეს აქ გამართულ მეორე მატჩში ერთმანეთს კვლავ სსრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები შეხვდნენ. ამჯერადაც მასპინძლებმა გაიმარჯვეს. შეხვედრის ანგარიშია 7:3 (3:0, 3:1, 1:2).

● ფრუნზე, 12 სექტემბერი. ყირგიზეთის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში. ეს საინტერესო ტურნირი გამოჩენილი მფრინავის ვ. ჩკალოვის დაბადების 70 წლისთავს მიეძღვნა. გუნდური პირველობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიგეს. II ადგილზე არიან ყაზახეთის სპორტსმენები, ხოლო საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური ჩემპიონატის მასპინძლებმა დაიკავეს. პირად ჩათვლაში საუკეთესონი იყვნენ ა. კოროვინი (რსფსრ) და ვალენტინა ბაბკო (ყირგიზეთი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ცხოვრება

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 14 სექტემბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). დასაწყისი 12 ს. 15 სექტემბერი. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი). 15 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვარძია" (ახალქალაქი) ... ახპინძა). 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14121